ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება. ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს. გაითვალისწინეთ, ტესტის II ნაწილში მოცემულია ორი ტექსტი. უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულოთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

(16 ქულა) 1.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი კორპუსის შენობა თბილისის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა. თავდაპირველად იგი სათავადაზნაურო ბანკს ეკუთვნოდა. 1912 წელს ბანკის შენობის ასაგებად გამოცხადდა კონკურსი რის პირობაშიც მითითებული იყო რომ ნაგებობა აუცილებლათ „ქართული სტილისა“ უნდა ყოფილიყო. გაიმარჯვა პროექტმა რომლის ავტორებიც არქიტექტორი ანატოლი კალგინი და მხატვარი ჰენრიკ ჰრინევსკი იყვნენ.

ორივე ავტორი კარგად იცნობდნენ ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებას. ანატოლი კალგინი ექვთიმე თაყაიშვილს ახლდა ტაო-კლარჯეთში სადაც აღწერდა იქაურ ტაძრების არქიტექტურას, ბარელიეფებს, ორნამენტებს, ახდენდა ფრესკების ასლების გადაღებას. ჰენრიკ ჰრინევსკისაც საგანგებოდ ქონდა შესწავლილი ძველი ქართული ტაძრების მხატვრობა. სწორედ X-XIII საუკუნეების ქართული ეკლესიების მიხედვით არის შექმნილი სათავადაზნაურო ბანკის ფასადის მორთულობა.

ნაგებობას საზეიმო იერს ანიჭებს ერთ-ერთ კუთხეში აღმართული კოშკი, ქვის აივნები და მოჩუქურთმებული სარკმელები. ჩუქურთმებზე მუშაობდნენ ცნობილი ოსტატები ქვაზე კვეთის ქართული ტრადიციის გამგრძელებლები, ძმები აგლაძეები.

ბანკის შენობა, რომელიც ძველი ხუროთმოძღვრული მოტივების გამოყენების შესანიშნავი ნიმუშია დიდი გავლენა იქონია შემდგომი პერიოდის ქართული არქიტექტურის განვითარებაზე. 1929 წლიდან ეს შენობა ეროვნულ ბიბლიოთეკას ეკუთვნის.

II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი ტექსტიდან ერთ-ერთი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულეთ!

ტექსტი I

ყურადღებით წაიკითხეთ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“ მონაკვეთი, რომელშიც ტარიელისა და ავთანდილის მეორე შეხვედრა არის აღწერილი:

ამოა, რომე კაცი კაცს ამოსა ეუბნებოდეს,
მან გაუგონოს, რაცა თქვას, არ ცუდად წაუხდებოდეს;
ცოტად ეგრეცა დაუვსებს, ცეცხლი რაზომცა სდებოდეს.
დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს!..

ტარიელ ეტყვის: „რად უნდა სიტყვისა თქმა მრავალისა?
რაცა შენ ჩემთვის გიქნია, ღმერთი მზღველია ვალისა;
კმა ზენაარი ზენარად, არ ნაქმარია მთრვალისა,
არ-დავიწყება, მოყვრობა მოყვრისა წარმავალისა.

აწ შემიხვეწე, ნუ დამწვავ კვლა წვითა უცხელესითა:
მე რომე ცეცხლი მედების, არ ნაგზებია კვესითა!
ვერ დაჰშრეტ, შენცა დაიწვი სოფლისა ქმნისა წესითა;
წადი, დაბრუნდი, შეიქეც მუნითვე, შენი მზე სით-ა!

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ვინ დამბადა, განკურნება ჩემი უჩანს მასცა ძნელად,
ვისცა გესმის, გაიგონეთ, მით გაჭრილვარ ხელი ველად;
რაცა ჰმართებს გონიერთა, ერთხელ ვიყავ მეცა მქმნელად,
აწ ნობათი ხელობისა მომხვდომია, მით ვარ ხელად“.

ავთანდილ ეტყვის: „რა გითხრა პასუხი მაგა თქმულისა?
შენვე თქვი, ეგე სიტყვაა კაცისა ბრძნად სწავლულისა?
ღმერთსამცა ვით არ შეეძლო კვლა განკურნება წყლულისა?!
იგია მზრდელი ყოვლისა დანერგულ-დათესულისა!

ღმერთსამცა ესე რად ექმნა, ეგეთნი დაეზადენით,
აღარ შეგყარნა, გაგყარნა, ხელი გქმნნა ცრემლთა დადენით!
სდევს ფათერაკი მიჯნურთა – გაჭვრიტეთ, გაიცადენით!
თქვენ ერთმანერთი არ მოგხვდეს, მე სულნი ამომხადენით!

ნეტარ, მამაცი სხვა რაა, არ გასძლოს რაცა ჭირია!
ჭირსა გადრეკა რად უნდა, რა სასაუბრო პირია!
ნუ გეშის, ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია;
რასცა მიწვრთიხარ, იწვართე; გკადრო: უწვრთელი ვირია.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

თუ რა გესმის, გაიგონე, ესე კმარის სწავლა სწავლად;
ჩემსა მზესა დავეთხოვე თქვენს წინაშე წამოსავლად,
მოვახსენე: „რათგან ჩემი შეუქმნია გული ავლად,
არას ვარგებ, არ დავდგები, სხვად ვიუბნა რადღა მრავლად?

მან მიბრძანა: „მადლიერ ვარ, კარგად ხარ და მამაცურად,
შენგან მისსა გავლენასა მე დავიჩენ სამსახურად“.
მისით კითხვით წამოსრულვარ, არ მთრვალურად, არ მახმურად,
აწ შევიქცე, რა ვუამბო, რად მოვეო ჯაბან-ხრდლურად?

მაგ საუბარსა ესე სჯობს, ისმინე ჩემი თხრობილი:
მქმნელი საქმისა ძნელისა კაცმცა იყო ცნობილი;
ვერას ვერა იქმს ნაყოფსა ვარდი უმზეოდ ჭნობილი,
შენ ვერას ირგებ, მე გარგებ, ძმა ძმისა უნდა ძმობილი!

სადაცა გწადდეს, მუნ იყავ მითვე წესითა მაგითა,
გწადდეს – გულითა ბრძენითა, გწადდეს – ცნობითა შმაგითა,
მაგა ქცევითა ტურფითა, ანაგებითა ნაგითა,
ოდენ გამაგრდი, არ მოჰკვდე, არ დასდნე ცეცხლთა დაგითა.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ამის მეტსა არას გნუკევ: წელიწადსა ერთსა მსგეფსსა
აქა ქვაბსა მომნახევდი მე, ამბავთა ყოვლგნით მკრეფსა;
ამა ჟამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდ-იეფსა,
ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითამცა ძაღლი ყეფსა.

ამა დროსა გარდავსცილდე, აქავ ქვაბსა არ მოვიდე,
ცან, ცოცხალი არ თურე ვარ, უღონიოდ მოვკვე კიდე;
ესე მისად ნიშნად კმარის, შენ თუ ჩემთვის ცრემლსა ღვრიდე,
მაშინ, გწადდეს, იხარებდი, გწადდეს – ჭმუნვა გაადიდე!

აწ რაცა გკადრე, ამისთვის ნუ, თუ შენ იყო მჭმუნავი!
მოგშორდები და არ ვიცი, თუ ცხენი დამცემს, თუ ნავი;
არ, უთქმელობა არ ვარგა, არ პირუტყვი ვარ მჩმუნავი.
არ ვიცი, ღმერთი რას მიზამს, ანუ ცა მიწყივ მბრუნავი“.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რომელი ანდაზა მიესადაგება პირველ ორ სტრიქონს?

ა) ათჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო.
ბ) კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო.
გ) მოყვარეს პირში უძრახე, მტერს – პირს უკანაო.
დ) როცა სიტყვა ხშირდებაო, მაშინ საქმე მცირდებაო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 3. ტარიელის რა განწყობა ჩანს მეორე სტროფში?

ა) გაბრაზებულია საკუთარ თავზე, მთვრალივით უგონოდ რომ იქცევა.
ბ) გულნატკენია, მეგობრები განსაცდელის ჟამს რომ არ დაეხმარნენ.
გ) კმაყოფილია, ავთანდილისათვის სამაგიეროს გადახდა რომ მოახერხა.
დ) მადლიერია ავთანდილისა, გაჭირვებაში უნუგეშოდ რომ არ მიატოვა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 4. რას სთხოვს ტარიელი ავთანდილს?

ა) განწირული მეგობრის სულის სახსნელად ილოცოს.
ბ) გულზე მოდებული ცეცხლის ჩაქრობაში დაეხმაროს.
გ) მარტო დატოვოს და თავის სატრფოს დაუბრუნდეს.
დ) მასთან დარჩეს და დაკარგული მიჯნური აპოვნინოს.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე]

(1) 5. რის აღარ სჯერა ტარიელს?

ა) რომ გონიერი კაცი ოდესმე გაშმაგდება.
ბ) რომ ველად გაჭრა წუხილს გაუქარვებს.
გ) რომ ღმერთს მისი დახმარება შეუძლია.
დ) რომ შეშლილი ოდესმე გონს მოეგება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 6. ავთანდილის აზრით, რა განსაზღვრავს ადამიანის სულიერ სიმტკიცეს?

ა) თუ რამდენად შეუძლია განსაცდელის ატანა.

ბ) თუ რამდენად შეუძლია საწუთროს უარყოფა.

გ) თუ რამდენად შეუძლია სიყვარულის დაფარვა.

დ) თუ რამდენად შეუძლია ცოდვების მიტევება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 7. რომელ ფრაზაშია მხატვრული საშუალება?

ა) „არას ვარგებ, არ დავდგები, სხვად ვიუბნა რადღა მრავლად?“
ბ) „რაცა შენ ჩემთვის გიქნია, ღმერთი მზღველია ვალისა“.
გ) „სადაცა გწადდეს, მუნ იყავ მითვე წესითა მაგითა...“
დ) „ჩემსა მზესა დავეთხოვე თქვენს წინაშე წამოსავლად...“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 8. ავთანდილის მონათხრობის მიხედვით, როგორ შეხვდა თინათინი არაბეთიდან მიჯნურის მეორედ წასვლას?

ა) ესიამოვნა, რომ სპასპეტი ხელმწიფის სურვილს უსიტყვოდ დაემორჩილა.
ბ) სამეფოს ხელახლა დატოვება გონივრულ გადაწყვეტილებად არ ჩათვალა.
გ) ტარიელის დახმარება პირადად მისთვის გაწეულ სამსახურად მიიჩნია.
დ) შეწუხდა, რომ ავთანდილმა სხვების გამო თავი განსაცდელში ჩაიგდო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 9. რომელ ფრაზაში ჩანს ავთანდილის გადაწყვეტილება?

ა) „მაშინ, გწადდეს, იხარებდი, გწადდეს – ჭმუნვა გაადიდე!“
ბ) „ნუ გეშის, ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია...“
გ) „სდევს ფათერაკი მიჯნურთა – გაჭვრიტეთ, გაიცადენით!“
დ) „შენ ვერას ირგებ, მე გარგებ, ძმა ძმისა უნდა ძმობილი!“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 10. რა სთხოვა საუბრის დასასრულს ავთანდილმა ტარიელს?

ა) გამოქვაბული მაშინ დაეტოვებინა, თუ მეგობრის სიკვდილს გაიგებდა.
ბ) გლოვა შეეწყვიტა და ასმათს დარდის გაქარვებაში დახმარებოდა.
გ) თუ ერთი წლის შემდეგ უკან არ დაბრუნდებოდა, მისი ძებნა დაეწყო.
დ) მას დალოდებოდა და ერთი წლის განმავლობაში არსად წასულიყო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 11. ბოლო სტროფის მიხედვით, რა უნდა შეეძლოს ადამიანს?

ა) სათქმელის დაუფარავად თქმა.

ბ) უენო პირუტყვის შებრალება.

გ) ღვთის ნებასთან დაპირისპირება.

დ) ხიფათის დროულად აცილება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. გონივრული რჩევის მოსმენა და მიღება მხოლოდ გონიერ ადამიანს შეუძლია.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი II

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ლევან გოთუას რომანიდან „გმირთა ვარამი“, რომელშიც დაკარგული ოჯახის წევრების მოსაძებნად წასული ქალების ამბავია მოთხრობილი:

ჩუმად, უსიტყვოდ ვიდოდნენ უცხო მხარეში ამგზავრებული ქალები. „პირიქითა“ მიწა ერთდროულად ეწვოდათ და ეცივებოდათ შავთასმიანი ქალამნების ქვეშ. ახლო მოსაზღვრე სოფლებსა და მეჯოგეებს შორიახლოს უჩინ-ფარულად ჩაუარეს. კლდე-ხაროებში იღამებდნენ, ტყე-ბუჩქნარებს ეტანებოდნენ. ბევრი შიშ-ვაგლახი იწვნიეს. ადამიანთა მოდგმას ერიდებოდნენ. მაგრამ ხანგრძლივმა შიშმა, მოდუნებისა და დაღლის გარდა, სასოწარკვეთილი გაბედულობაც კი იცის. ქალებიც მიეჩვივნენ ფარულად სვლასა და თვალთვალს...

მეექვსე დღეზე უფრო ფართო ხეობაში გავიდნენ და კარგა მოზრდილ სოფლებსაც წაადგნენ. გადაწყვიტეს ამბის გამოკითხვა, აღარ აერიდნენ სოფელს...

გზის პირში, ქვის ღარზე წყარო გადმოდიოდა. ქვევით ფართო ლორფინზე[1] გადმოსჩუხდა წყალი. ლეკი დედაკაცები მიჯრილიყვნენ წყაროსთან, ზოგი წყალს იღებდა ყელწერწეტა თუნგებითა და მაღალცხვირიანი ყულღანებით, ზოგნი კი სარეცხს მისდგომოდნენ, მარჯვედ საქმიანობდნენ, თან ლაპარაკობდნენ ყველანი ერთად და ყველანი ხმიანად. მთის ქალებს თავის ბარელ დებზე არანაკლებ ჰყვარებოდათ ჭარტალი. შავთასმიანი, გადამთიელი ქალები შორიახლოს შედგნენ.

– მივიდეთ?! – შეეკითხა სათინო.

– მა როდემდე ვიაროთ ეგრე გარე-გარეთ?

– ყველაფერი ვუთხრათ?

– მაშა? ესენიც ხალხია... დედაკაცები არ არიან, ქა!

ქალებმა თავშლები შეისწორეს, სახე გამოიჩინეს და გაუბედავად მივიდნენ წყაროსთან.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

[1] ლორფინი – ქვის ფილა.

– მშვიდობა მოგცეთ ღმერთმა! – ენის მოკიდებით აღმოხდა სათინოს.

– სალამი და ხეირი, დედაშვილობასა! – უფრო გასაგებად დაურთო საბედომ.

უცხო სალმის გაგონებაზე ლეკი ქალები შემობრუნდნენ და ერთბაშად დადუმდნენ. სიჩუმე ჩამოვარდა. მკაფიოდ გამოისმოდა წყაროს ჟღურტული. ერთი ქალი წინ წამოდგა, ხელი მიიჩრდილა... მერმე დოინჯშემოყრილმა ახედ-დახედა მოსულთ:

– გიაურ გურჯი?

– გურჯი გახლავართ! ჰო, დედაშვილობასა! – თავი დაუქნია საბედომ, მაგრამ ლეკის ქალმა ზურგი შეაქცია მას, რაღაც უთხრა სხვებს. ჩურჩული სარეცხივით გაიშალა ქალების ხელში. ყველამ თავი დახარა და საქმიანობა განაგრძო. სათინოს გულზე მოხვდა ასეთი ცუდი მიღება, უკან დადრკა, მაგრამ საბედოს კი გული მოუვიდა.

– ქა! დედაკაცები არა ხართ? რა თავები ჩაქინდრეთ? გაქირი[2] ახლა ჩემი იკითხეთ, თქვენთან მოვსულვართ ქმარ-შვილის საქმეზედ... იგრე წარამარა მოხეტიალენი ხომ არ გგონივართ, ქა! – არ შეეპუა, წინ წარდგა, წყაროსთან მივიდა. ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ავსებდა ყულღანს, გზა უტია, ჭურჭელიც გააცალა.

– მოიცადე, ქალო! წყალი მასვი მაინცა, შენ გეუბნები, პატარ-ქალო! – და მხარზე დაადო ხელი. ლეკის ქალმა ხელი მოიშორა.

– სუ! ქალო, სუ! შენ გაგიჩნდა სურავანდი![3] წყალის სახელიც აღარ იცი? – და საბედომ ახლა ყულღანს მოჰკიდა ხელი. ქალმა დაანება.

საბედომ ჯერ ხელზე გადივლო წყალი, მერმე სახე სველი ხელით მოიწმინდა, პირჯვარი ისახა და წყალი მოწყურებულად შესვა. ლეკი დედაკაცები უმზერდნენ და დაბალ ხმაზე ჩურჩულებდნენ.

ლეკის ქალმა ჩამოართვა ჭურჭელი, წყალი გადაღვარა და სამჯერ გამოავლო.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

[2] გაქირი – გაჯიუტება, გაკერპება.

[3] სურავანდი – დაავადება.

– ამას დამიხედე! უი, ქა... განა ტურტლიანი ვარ! ჰაიგიდი, კახელო დედაკაცო, გულხადარა[4] ლეკის ქალი გთაკილობდეს! – მერმე თვალცრემლიან სათინოს გადახედა, – მოდი, ქა! თვალი ამათაც დაუდგებათ... ამათა! წყალი ისურვილე!

ახლა ერთი ხანში შესული დედაკაცი ხვნეშით წამოდგა და სათინოს წყალი გაუწოდა. სათინომ მოსვა, თავად გადაღვარა, ახლად აუვსო და მადლობით მიაწოდა.

– ბარაქათ! – უპასუხა ლეკის ქალმა. ეს იყო პირველი სამშვიდობო მერცხალი. ქალებმა ავაზანის ახლო მორზე დასვეს მოსულნი. მიეახლნენ და მათ შორის შერეული ქართულ-ლეკური საუბარი გაიბა. სიტყვებზე უფრო ნიშნები მოქმედებდნენ. სულ მოკლე ხანში დამხვდურებმა წვრილად იცოდნენ მოსულთა საქმის ვითარება. „მამუკა, ზაზა, სოსია, სათინო, საბედო!“ უკვე ძველ-ნაცნობურად გაისმოდა ლეკ ქალთა საუბარში. კახელმა დედაკაცებმა უკვე იცოდნენ, რომელი იყო მესედო, ზულეიხა, ზენაგე თუ სალიჰატ... მტრობისა თუ უნდობლობის ყინული მათ შორის სულ მალე გალხვა... მაგრამ ერთი გამოცდა და შიში კიდევ განიცადეს პირიქითა და პირაქეთა ახალმა ნაცნობებმა.

– ზუჰრა-ხანუმ! – მოულოდნელად შესძახა ქვრივმა ზულეიხამ, რომელიც განსაკუთრებით მფარველობდა უნებურ სტუმრებს. გზაზე ტანკეთილი და სახემარილიანი ძაძამოსილი ქალი მოდიოდა. მას არც თუნგი ჰქონდა, არც სარეცხი.

– ან სტუმრად მოსული ჩანს, ან საგლოვოდ? – ასე ამოხსნა საბედომ ამ ქალის ვინაობა, – მაგრამ, რატომ დაფრთხნენ ეს ქალები?

ეს მიზეზი სულ მალე გამოირკვა. ზუჰრამ მოსვლისთანავე შენიშნა უცხონი, აიძაგრა, ლამაზ თვალ-წარბში სიმკაცრე და სიანჩხლე ჩაუწვა, მხრებში აიწურა, ხელებით ქოქოლა მიაყარა.

– კახ? კახ-იასალ?

– ჰოდე...კახელი დედაკაცები ვართ, გეთაყვა! – თავი დაუკატურა საბედომ.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

[4] გულხადარა– დაღესტნის ზოგი ტომის დამაკნინებელი ეპითეტი.

ზუჭრამ ქვა აიტაცა და ზედ წამოეტანა, მაგრამ ქვრივი ზულეიხა გადაეღობა. სათინოს კვლავ ცრემლები მოერია, ქედელმა დედაკაცმა კი პირიქით გაიწია. ჩხუბს არაოდეს არ დასჭირებია ენის ცოდნა. ზუჭრაზე სათინოს უხმო ცრემლმა საბედოს გაჯავრებაზე უფრო იმოქმედა. ქვა ხელიდან გააგდო და ხმამაღლა მოთქმა ამოუშვა. ზულეიხა-ქვრივმა ხელად გაიცალა კახ-იასალები წყაროს. თავის ღარიბულ ქოხში წაიყვანა. დაღამდა თუ არა, ზულეიხას ქოხმახში მრავლად მოვიდა მოსაკითხავი და საგებელი ქმარ-შვილის მაძებართა სანუგეშოდ და დასაპურებლად.

ხოლო როდესაც ხეობის თავს მთვარე გადმოადგა, შორეული ბანიდან უნელებელი გლოვის ძალით შეჰკივლა ვიღაცამ. სივრცეში გადასული გლოვის ხმა საყვედურივით დაედო სოფელს. კახელმა დედაკაცებმა უმალ იცნეს ზუჭრას ხმა. ახლა მეორე ბანიდან გაისმა კივილი, მას მესამე ბანიდან შეეწია უნუგეშო ქალური მოთქმა. დაზაფრულ სოფელს ეუფლებოდა ლეკ ჯალაბთა გლოვა-ტირილი.

ახლა სათინოსაც ამოეხირა ყელში მოთქმის ზლუქუნი.

მთვარის სატირალზე გამოსული ლეკი და კახი დედაკაცები სხვადასხვა კილოზე, მაგრამ საერთო მოთქმის ენაზე მეტყველებდნენ. ყველა თავის ძველსა და ახალ მიცვალებულს ჩიოდა და ტიროდა, განსაკუთრებით კი უდროოდ და უცხოობაში დაღუპულთ. ყველა თავისი ბანიდან გასტიროდა სოფელს, მაგრამ გლოვა კი საერთო იყო, მთელ მთვარისქვეშეთს ედებოდა და ეხებოდა.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რატომ მიდიან ქალები უცხო მხარეში უჩუმრად და უსიტყვოდ?

ა) დაღლილობისაგან დაუძლურებულებს უცნობებთან ურთიერთობა არ უნდათ.
ბ) მტრის მიწაზე არიან და უცხო ადამიანებთან დაპირისპირებას ერიდებიან.
გ) მტრის სათვალთვალოდ წამოსულები სოფელში მალულად უნდა შევიდნენ.
დ) უბედურებისაგან სასოწარკვეთილებს ლაპარაკის თავი და სურვილი არა აქვთ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 3. პირველი აბზაცის მიხედვით, რა იგრძნობა კახელი დედაკაცების მოქმედებაში?

ა) გულისხმიერება.
ბ) დაუნდობლობა.
გ) მოურიდებლობა.
დ) თავგანწირულება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 4. რატომ მივიდნენ დედაკაცები წყაროსთან შეკრებილ ლეკ ქალებთან?

ა) გადაწყვიტეს, რომ ლეკ ქალებს ხალიჩების რეცხვაში დახმარებოდნენ.
ბ) გადაწყვიტეს, რომ წყაროსთან შეკრებილთა საუბარში ჩართულიყვნენ.
გ) იმედი ჰქონდათ, რომ ლეკი ქალები მათ გასაჭირს გულთან მიიტანდნენ.
დ) იმედი ჰქონდათ, რომ თავიანთი ქმრების ძმადნაფიცებს შეხვდებოდნენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 5. რომელ ფრაზაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „ზულეიხა-ქვრივმა ხელად გააცალა კახ-იასალები წყაროს“.
ბ) „მათ შორის შერეული ქართულ-ლეკური საუბარი გაიბა“.
გ) „ჩურჩული სარეცხივით გაიშალა ქალების ხელში“.
დ) „მთის ქალებს... არანაკლებ ჰყვარებოდათ ჭარტალი“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 6. რა რეაქცია ჰქონდა საბედოს ახალგაზრდა ლეკი ქალის საქციელზე?

ა) გაბრაზდა.
ბ) გაუკვირდა.
გ) მისმა საქციელმა დააფიქრა.
დ) ყურადღება არ მიაქცია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 7. რომელ ფრაზაში ჩანს, რომ ქალებს შორის მტრობა და უნდობლობა დაიძლია?

ა) „ლეკი დედაკაცები მიჯრილიყვნენ წყაროსთან, ზოგი წყალს იღებდა...“
ბ) „ერთი... შიში კიდევ განიცადეს პირიქითა და პირაქეთა ახალმა ნაცნობებმა“.
გ) „სივრცეში გადასული გლოვის ხმა საყვედურივით დაედო სოფელს“.
დ) „ხანში შესული დედაკაცი ხვნეშით წამოდგა და სათინოს წყალი გაუწოდა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 8. რატომ დაფრთხნენ ლეკი ქალები ზუჰრა-ხანუმის დანახვაზე?

ა) დარწმუნებული იყვნენ, რომ მათგან თანაგრძნობას მოითხოვდა.
ბ) ეჭვობდნენ, რომ ქალებს წყაროსთან თავშეყრას აუკრძალავდა.
გ) იფიქრეს, რომ კახელ ქალებზე შურისძიებას მოინდომებდა.
დ) იცოდნენ, რომ თანასოფლელებს შეურაცხყოფას მიაყენებდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 9. რაზე მიანიშნებს ფრაზა: *„ზულეიხას ქოხმახში მრავლად მოვიდა მოსაკითხავი და საგებელი“*?

ა) ლეკი ქალები ზულეიხასთან მისვლას აპირებდნენ.

ბ) ლეკებმა სტუმრებთან თავის მოწონება მოინდომეს.

გ) ლეკები კახელი ქალების გასტუმრებას ჩქარობდნენ.

დ) ლეკებმა კახელები თავიანთ სტუმრებადაც მიიღეს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 10. რა მხატვრული საშუალებაა: *„გზაზე ტანკეთილი და სახემარილიანი ძაძამოსილი ქალი მოდიოდა“*?

ა) ალიტერაცია.
ბ) გაპიროვნება.
გ) ჰიპერბოლა.
დ) ეპითეტი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 11. **რის თქმა სურს ავტორს სიტყვებით:** *„დედაკაცები სხვადასხვა კილოზე, მაგრამ საერთო მოთქმის ენაზე მეტყველებდნენ“*?

ა) ახლობლის დაკარგვით გამოწვეულ მწუხარებას ყველა ერთნაირად გამოხატავს.

ბ) ბრძოლის ველზე დაღუპულ მეომრებს ყველგან განსხვავებულად გლოვობენ.

გ) დიდი ტკივილი ადამიანთა შორის გაუცხოებასა და უნდობლობას იწვევს.

დ) სხვადასხვა ხალხში უდროოდ გარდაცვლილთა დატირების წესი ერთნაირია.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე]

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. მსგავსმა ტკივილმა შეიძლება დაპირისპირებული მხარეებიც კი გააერთიანოს.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.